შპს "მოტოსტარი" („ამბოლი")

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

და

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2019 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 7

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 9

შენიშვნა 1. კომპანია და მისი საქმიანობა 9
შენიშვნა 2. მნიშვნელოვანი საარღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 9
შენიშვნა 3. ძირითადი საშუალებები 19
შენიშვნა 4. არამატერიალური აქტივები 20
შენიშვნა 5. იჯარა 20
შენიშვნა 6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 21
შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 21
შენიშვნა 8. გაცემული სესხები 21
შენიშვნა 9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 21
შენიშვნა 10. სესხები 22
შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 22
შენიშვნა 12. შემოსავალი 22
შენიშვნა 13. რეალიზაციის თვითღირებულება 23
შენიშვნა 14. ფინანსური ხარჯი (შემოსავალი) 23
შენიშვნა 15. ფინანსური რისკის მართვა 23
შენიშვნა 16. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით ... 26
შენიშვნა 17. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება 26
შენიშვნა 18. დაკავშირებული მხარეები 27
შენიშვნა 19. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 27
შენიშვნა 20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები 27

BC Menteshev Rows
7 Bambis Rigi Street
Tbilisi 0105, Georgia

T: +955 322 438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მოტოსტარის-ის დამფუძნებლებს:

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს მოტოსტარის (2020 წლის ივნისიდან - შპს „ამბოლი“, შემდეგში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც

არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი.

ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)
პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
13 ივლისი, 2020 წელი
თბილისი, საქართველო

შპს მოტოსტარი (ამბოლი)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3)	2,172	1,265	495
არამატერიალური აქტივები (შენიშვნა 4)	85	64	25
გამოყენების უფლებით არსებული აქტივები (შენიშვნა 5)	947	922	420
სულ გრძელვადიანი აქტივები	***3,204***	***2,251***	***940***
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (შენიშვნა 6)	3,628	1,273	1,830
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 7)	1,381	431	679
გაცემული სესხები (შენიშვნა 8)	-	-	792
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 9)	114	365	370
სულ მოკლევადიანი აქტივები	***5,123***	***2,069***	***3,671***
სულ აქტივები	**8,327**	**4,320**	**4,611**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი	2,002	2	2
გაუნაწილებელი მოგება /ზარალი	(1,506)	(139)	615
სულ საკუთარი კაპიტალი	***496***	***(137)***	***617***
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები (შენიშვნა 10)	920	25	24
იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებები (შენიშვნა 5)	704	898	240
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	***1,624***	***923***	***264***
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი (შენიშვნა 10)	4,890	2,530	2,592
იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი (შენიშვნა 5)	407	198	179
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 11)	910	806	959
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	***6,207***	***3,534***	***3,730***
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**8,327**	**4,320**	**4,611**

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2020 წლის 13 ივლისს და ხელმოწერილია:

ზურაბ ყვირალაშვილი, დირექტორი

გვანცა ჯავახიშვილი, ფინანსური დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31-დეკ-2019 დასრულებული წლისათვის	31-დეკ-2018 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი (შენიშვნა 12)	7,352	6,834
რეალიზაციის თვითღირებულება (შენიშვნა 13)	(5,635)	(5,015)
საერთო მოგება	**1,717**	**1,819**
შრომის ანაზღაურება და ხელფასები	(999)	(887)
მარკეტინგი	(316)	(305)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(166)	(180)
ოფისის მიმდინარე და კომუნალური	(126)	(159)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(82)	(124)
რემონტის ხარჯი	(60)	(20)
მივლინების ხარჯები	(37)	(62)
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(19)	(19)
საგადასახადო ხარჯები	(15)	(15)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(13)	(26)
სხვა	(1)	(3)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე	**(117)**	**19**
ცვეთა და ამორტიზაცია	(333)	(532)
ფინანსური ხარჯი (შენიშვნა 14)	(855)	(291)
სხვა შემოსავალი/ხარჯი	(62)	78
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)	**(1,367)**	**(726)**
საანგარიშგებო პერიოდის სრული მოგება (ზარალი)	**(1,367)**	**(726)**

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2020 წლის 13 ივლისს და ხელმოწერილია:

ზურაბ ყვირალაშვილი, დირექტორი

გვანცა ჯავახიშვილი, ფინანსური დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31-დეკ-2019 დასრულებული წლისათვის	31-დეკ-2018 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	8,243	8,071
მომწოდებლებსა და მომუშავეებზე პირებზე გადახდილი ფული	(11,507)	(7,248)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	***(3,264)***	***823***
გადახდილი პროცენტი	(414)	(255)
მიღებული პროცენტი	-	261
საოპერაციო საქმიანობით მიღბული ფული	**(3,678)**	**829**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(503)	(932)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	12	19
გაცემული სესხის დაფარვა	-	610
საინვესტიციო საქმიანობისათვის გახარჯული ფული	**(491)**	**(303)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის სახით მიღებული თანხები	8,887	2,252
გადახდილი იჯარა	(1,003)	(295)
სესხების გადახდა	(5,903)	(2,465)
გადახდილი დივიდენდი	-	(28)
კაპიტალში შენატანი	2,000	-
საფინანსო საქმიანობისათვის გახარჯული ფული	**3,981**	**(536)**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	**(188)**	**(10)**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	365	370
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	(63)	5
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	**114**	**365**

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2020 წლის 13 ივლისს და ხელმოწერილია:

ზურაბ ყვირალაშვილი, დირექტორი

გვანცა ჯავახიშვილი, ფინანსური დირექტორი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	**2**	**615**	**617**
2018 წლის სრული შემოსავალი (ზარალი)	-	(726)	**(726)**
გაცემული დივიდენდი	-	(28)	**(28)**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**2**	**(139)**	**(137)**
2019 წლის სრული შემოსავალი (ზარალი)	-	(1,367)	**(1,367)**
კაპიტალში შენატანი	2,000	-	**2,000**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**2,002**	**(1,506)**	**496**

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2020 წლის 13 ივლისს და ხელმოწერილია:

ზურაბ ყვირალაშვილი, დირექტორი

გვანცა ჯავახიშვილი, ფინანსური დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს მოტოსტარი, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც დაარსდა 2004 წელს. 2020 წლის 12 ივნისს კომპანიამ შეიცვალა დასახელება და ამ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის იწოდება როგორც შპს ამბოლი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, რუსთავი, ლეონიძის ქ., კორპ. 24, ბინა 100

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბურავების, საავტომობილო ზეთებისთ, ავტონაწილებითა და ავტო აქსესუარებით ვაჭრობა.

კომპანიის მესაკუთრეები არიან სააქციო საზოგადოება სს საქართველოს კაპიტალი 90 პროცენტით და დავით ჭანტურია 10 პროცენტით.

შენიშვნა 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

2.1. მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების* (ფასს-ები) *შესაბამისად* ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის პროცესში წამოჭრილი გადაწყვეტილებების განხორციელების მართვას. საკითხები, რომლებიც შეიცავს გარკვეულ სირთულეებს ან საკითხები სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის განმარტებული შენიშვნა 2.15-ში.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

საწყისი ბალანსი 2018 წლის პირველი იანვრისათვის (ფასს-ზე გადასვლის თარიღი) მომზადებულია „ფასს" 1 სტანდარტის მიხედვით „ფინანსური ანგარიშგების საერთაშოროსო სტანდარტების პირველადი გამოყენება". ეს სტანდარტი ითხოვს რომ საწყისი ბალანსი „ფასს" სტანდარტებზე გადასვლის შემდეგ იყოს მომზადებული ისეთი საბუღალტრო პოლიტიკის მიხედვით, რომელიც ეთანხმება კომპანიის ანგარიშგებების მომზადების დასრულებამდე მოქმედ თითოეულ საერთაშორისო სტანდარტს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული დაშვებულია კონკრეტული სტანდარტის გარდამავალი დებულებებით). წინამდებარე ანგარიშგება კომპანიისათვის პირველია, რომელიც შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. შესაბამისად, კომპანიამ ის ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც ძალაში შევიდნენ 2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ დანერგა ფასს-ზე გადასვლის თარიღისათვის (1 იანვარი 2018 წელი).

2.2. უცხოური ვალუტა

(ა) ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების შემავალი ანგარიშები განსაზღვრულია ეკონომიკური გარემოზე, სადაც კომპანია ოპერირებს (ფუნქციური ვალუტრა, რომელიც არის ქართული ლარი). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც არის განსაზღვრული ეროვნული ბანკის მიერ, ქართულ ლარსა და აშშ დოლარს, და ქართულ ლარსა და ევროს შორის, იხილეთ ქვემოთ:

	აშშ დოლარი	ევრო
1 იანვარი 2018	2.5922	3.1044
31 დეკემბერი 2018	2.6766	3.0701
31 დეკემბერი 2019	2.8677	3.2095

(გ) ტრანზაქციები და ნაშთები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით, ქართულ ლარში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს, პერიოდის დასაწყისში არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას. არაფულადი აქტივები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია, გადმოიყვანება მოქმედ ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბიმისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

2.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია, თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის (თუ ამგვარი წარმოიშვება) გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. თვითწარმოებული აქტივების ღირებულება შეიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის გამოყენებისათვის გამიზნულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს, ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან ამოღების ღირებულებას. შეძენილი სისტემური უზრუნველყოფა, რომელიც კომპიუტერული აღჭურვილობის ფუნქციონირების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირებული არის ამ აღჭურვილობის ნაწილად.

როდესაც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/ სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება აქტივის ღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით გარდა შენობებისა, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული პროცენტების მეშვეობით , მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები და პროცენტები შემდეგი:

კატეგორია	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)	პროცენტი
შენობა-ნაგებობები	50	2%
მანქანა-დანადგარები	5	20%
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	6-7	15%
სატრანსპორტო საშუალებები	5	20%

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

2.4. იჯარა

კომპანია იჯარით ფლობს საოფისე, სასაწყობე და სავაჭრო ფართებს. იჯარის ხელშეკრულებები ფორმდება 11 თვიდან 10 წლამდე ვადით.

უძრავი ქონებასთან დაკავშირებულ იჯარების შემთხვევაში, როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, არ ხორციელდება საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტების გამოყოფა და სრულად განიხილება როგორც ერთიანი იჯარის კომპონენტი.

იჯარის პირობები ყოველი ცალკეული კონტრაქტისათვის ინდივიდუალური მოლაპარაკებების საგანია. ეს შეთანხმებები არ მოიცავენ რაიმე შემზღუდველ პირობებს (კოვენანტებს) გარდა იჯარით აღებული აქტივების უსაფრთხოებისა. აგრეთვე, დაუშვებელია მათი გამოყენება სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით.

2018 წლის 1 იანვრიდან (ფასს-ზე გადასვლის თარიღი) იჯარები აღიარებულია როგორც გამოყენების უფლებით არსებული აქტივები და შესაბამისი ვალდებულებები.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად იზომება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებების წმინდა მიმდინარე ღირებულება მოიცავს (მათი არსებობის შემთხვევაში) შემდგომ სახდელებს:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის, არსებითად ფიქსირებული გადახდები), წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით;
- ნარჩენი ღირებულების გარანტიები, რომლებიც მეიჯარისთვის გარანტირებულია მოიჯარის მიერ, მოიჯარესთან დაკავშირებული მხარის მიერ, ან მეიჯარისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მესამე მხარის მიერ, რომელსაც შეუძლია ამ საგარანტიო ვალდებულების ფინანსურად შესრულება;
- საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ფასი, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის გათვალისწინებული ჯარიმები, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

ვალდებულების გაზომვისას ასევე გაითვალისწინება ის გადახდები, რომლებიც განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელის ხდომილობა მართლზომიერად სარწმუნოა.

სახდელები დისკონტირდება იჯარაში განივთული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუკი ამგვარი განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, როგორც ეს კომპანიის იჯარების უმრავლეს შემთხვევაშია, გამოიყენება მოიჯარის (კომპანიის) ზღვრული სასესხო განაკვეთი. ზღვრული სასესხო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

იჯარის სახდელები იყოფა ძირის დაფარვად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსური ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის მოქმედების განმავლობაში.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ გაზომვას;
- იჯარის დაწყებამდე განხორციელებულ გადახდებს;
- სხვა რაიმე პირდაპირ დანახარჯებსა, და
- აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირეს პერიოდზე. თუ კომპანიის მიერ აქტივის გამოსყიდვის, კონტრაქტით გათვალისწინებული, ოფციის გამოყენება მართზომიერად სარწმუნოა, გამოყენების უფლებით არსებული შესაბამისი აქტივის ცვეთის ვადად განისაზღვრება მისი სასიცოცხლო ვადა.

კომპანია არ იყენებს ფასს 16-ით გათვალისწინებულ გამონაკლისებს მცირეფასიან და მოკლევადიან იჯარებთან მიმართებით, შესაბამისად, მათი აღრიცხვა წარმოებს ზემოთ აღწერილი პოლიტიკის შესაბამისად.

2.5. მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული მათი დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

2.6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის თანხები რომლებიც მისაღებია მომხმარებლისგან მომსახურეობისა თუ საქონლის მიწოდების სანაცვლოდ ჩვეულებრივ ბიზნესის კურსის ფარგლებში. თუ მისაღები თანხების შეგროვება მოსალოდნელია ერთ წელში ან ნაკლებში, ისინი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, წარმოდგენილი იქნება როგორც გრძელვადიანი აქტივები. ამჟამად, ყველა კომპანიის მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივებად რადგან მათი მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ფარგლებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნათშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.8. დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებული ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქტციის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღგ ზოგადად ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ს მიმართ, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ-ს აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

2.9. სესხები

სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების ხარჯების გამოკლებით. შემდგომში აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით; ნებისმიერი განსხვავება მიღებულ სესხსა (გარიგების ხარჯების გამოკლებით) და გამოსასყიდ ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პერიოდში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის გადასახდელი თანხები მომწოდებლების მიერ მოწოდებული საქონლისა თუ მომსახურებისთვის. სავაჭრო ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარე დავალიანებად, თუ გადახდა მოხდება ერთ წელში ან ნაკლებ დროში. თუ არა, მაშინ წარმოდგინდება როგორც გრძელვადიანი დავალიანება. ამჟამად, ყველა კომპანიის სავაჭრო დავალიანება მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება ერთი წლის ფარგლებში ბალანსის დღიდან და კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება.

სავაჭრო დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

2.11. შემოსავალის აღიარება

შემოსავალი მოიცავს სავაჭრო მარაგების გაყიდვით სამართლიანი ღირებულებით ასახულ მიღებული ან მისაღებ ნეტო თანხებს დამატებული ღირებულების გადასახადის, უკან დაბრუნებების და ფასდათმობების გარეშე.

კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ როდესაც თანხები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, როცა სავრაუდოა რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში.

2.12. თანამშრომლების გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.13. მოგების გადასახადი

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე.

2.14. ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ჯგუფის ფინანსური ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით (გარიგების პირდაპირი დანახარჯების გამოკლებით, თუ ამგვარს ადგილი აქვს) და შემდგომში წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კლასიფიკაცია. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა,

რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება. შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

რეალური ღირებულება გახლავთ თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის `გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით~. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისათვის და მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კვოტირებულია აქტიურ ბაზარზე. ურთიერთგადამფარავი საბაზრო რისკების მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისთვის ჯგუფმა შეიძლება საშუალო საბაზრო ფასები გამოიყენოს ურთიერთგადამფარავი რისკის პოზიციების რეალური ღირებულების დადგენისათვის და შეთავაზებული ფასი ან მოთხოვნილი ფასი გამოიყენოს ღია პოზიციების შესაფერისად დაბალანსებისათვის. ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირებულად განიხილება, თუ კოტირებული ფასები იოლად და რეგულარულად მიღებადია ბირჟიდან ან სხვა დაწესებულებიდან და აღნიშნული ფასები ასახავს აქტიურ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს საფონდო ბირჟაზე `გაშლილი ხელის მანძილის~ პრინციპით.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადის მოდელები ან მოდელები გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით დადებული ბოლოდროინდელი გარიგებების, ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთათვისაც გარე საბაზრო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების მეთოდებით შეიძლება მოითხოვებოდეს ისეთი დაშვებების გაკეთება, რომლებიც არ არის გამყარებული დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნები თუ მსგავსი დაშვებების გონივრულად შესაძლებელი ალტერნატივით შეცვლის შედეგად მიიღება მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები ან მთლიანი ვალდებულებები.

გარიგების დანახარჯები არის ნამეტი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს. ნამეტი დანახარჯები არის დანახარჯები, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ არ განხორციელდებოდა გარიგება. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (გაყიდვის აგენტებად მოქმედ დაქირავებულ მომუშავეთა ჩათვლით), მრჩეველების, ბროკერებისა და

დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებიდან და საფონდო ბირჟებიდან მოსაკრებლებსა და სატრანსფერო ბაჟსა თუ სავალდებულო მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდათმობებს, ფინანსურ დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ თუ მფლობელთა დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის გადახდით, მიმატებული დარიცხული პროცენტის თანხა და ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, შემცირებული მიღებული გაუფასურების ზარალის ჩამოწერით. დარიცხული პროცენტის თანხა მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და პრემიას ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტის დისკონტირებული ღირებულება. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, როგორც დარიცხული კუპონის, ისე ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს), ცალ-ცალკე კი არ აისახება, არამედ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი, ისე რომ მიღებულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, თუ შესაფერისია, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის გადაფასების შემდეგ თარიღამდე, გარდა პრემიის ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთის შეღავათის დიაპაზონს ან სხვა ცვლადებს, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო განაკვეთზე. მსგავსი პრემია ან დისკონტი ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. ახლანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს მხარეების მიერ ყველა საკონტრაქტო გადახდილ ან მიღებულ საზღაურს, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო ანგარიშებს მოთხვნამდე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც

შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითაც ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარება და კლასიფიკაცია. ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც ამორტიზირებული ღირებულებით წარდგენილი ვალდებულებები.

შემდგომი შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ვალდებულებების (სავაჭრო და სასესხო) შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, გათიღდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც არსებითად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

2.15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომოანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინასნურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2.16. ახალი ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

დასახელება	აღწერა	თარიღი
ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები	ფასს 17 გამოქვეყნდა 2017 წლის მაისში და იგი ანაცვლებს ფასს 4-ს. *ცვლილებებს გავლენა ექნებათ იმ სადაზღვევო კომპანიებზე და არ არის რელევანტური შპს მოტოსტარისათვის*	2021 წლის 1 იანვრიდან
ბასს 1 და ბასს 8 - ცვლილება არსებითობის განმარტებაში	განმარტებით განისაზღვრა, რომ „ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები“ წარმოადგენენ „არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს“, რომლებიც უნდა დაეყრდნონ ფინანსურ ანგარიშგებას მათთვის საჭირო ფინანსური ინფორმაციის მისაღებად. *აღნიშნული არ გამოიწვევს კომპანიაში ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში რაიმე ცვლილებას.*	2020 წლის 1 იანვრიდან
ფასს 3 - ცვლილება ბიზნესის განმარტებაში	ცვლილების შედეგად დაზუსტდა და გაფართოვდა განმარტება, თუ რა წარმოადგენს ბიზნესის კომბინაციას, შედეგად უფრო მეტი გარიგებები მოექცევა ფასს 3-ის გავლენის ქვეშ.	2020 წლის 1 იანვრიდან
ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში	ცვლილებები ეხება აქტივის მიწოდების ან შეტანის აღრიცხვას ინვესტორსა და მის მეკავშირეს ან ერთობლივ საწარმოს შორის. ცვლილება სპეციფიკურად განიხილავს ოპერაციის შედეგად მიღებული მოგება ზარალის აღრიცხვას. საბჭოს მიერ არ არის დადგენილი ცვლილების ეფექტურობის თარიღი თუმცა დაშვებულია ამ ცვლილებების ადრეული გამოყენება. *ამ ეტაპზე უცნობია ექნება თუ არა და რა გავლენას იქონიებს ეს ცვლილებები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.*	უცნობია

შენიშვნა 3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	თუჯრით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01.01.2018						
ისტორიული ღირებულება	-	204	306	179	41	730
დაგროვილი ცვეთა	-	(56)	(126)	(39)	(14)	(235)
საბალანსო ღირებულება	**-**	**148**	**180**	**140**	**27**	**495**
2018 წლის ცვლილება:						
შეძენები	834	36	63	17	79	1,029
გასვლა (ღირებულება)	-	(79)	(16)	(59)	(9)	(163)
გასვლა (ცვეთა)	-	(7)	-	(7)	(2)	(16)
ცვეთის ხარჯი	(5)	(16)	(37)	(12)	(10)	(80)
საბალანსო ღირებულება	**829**	**82**	**190**	**79**	**85**	**1,265**
31.12.2018						
ისტორიული ღირებულება	834	154	353	130	109	1,580
დაგროვილი ცვეთა	(5)	(72)	(163)	(51)	(24)	(315)
საბალანსო ღირებულება	**829**	**82**	**190**	**79**	**85**	**1,265**
2019 წლის ცვლილება:						
შეძენები	697	177	161	79	57	1,171
გასვლა (ღირებულება)	-	(2)	(17)	(29)	(3)	(51)
გასვლა (ცვეთა)	-	-	(1)	-	-	(1)
ცვეთის ხარჯი	(20)	(19)	(37)	(9)	(17)	(102)
გაუფასურება	(110)	-	-	-	-	(110)
საბალანსო ღირებულება	**1,396**	**238**	**296**	**120**	**122**	**2,172**
31.12.2019						
ისტორიული ღირებულება	1,531	336	496	187	165	2,715
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება:	(135)	(98)	(200)	(67)	(43)	(543)
ცვეთა	(25)	(98)	(200)	(67)	(43)	(433)
გაუფასურება	(110)	-	-	-	-	(110)
საბალანსო ღირებულება	**1,396**	**238**	**296**	**120**	**122**	**2,172**

2019 წლის 31 დეკემბრისთვის სს თი ბი სი ლიზინგის სესხებზე უზრუნველყოფის სახით ჩადებული მანქანა-დანადგარების საბალანსო ღირებულება შეადგენს 9 (2018: 11) ლარს, ხოლო ავტომანქანების საბალანსო ღირებულება შეადგენს 51 (2018: 62) ლარს.

შენიშვნა 4. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	პატენტები და სავაჭრო ნიშნები	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით				
ისტორიული ღირებულება	32	3	4	**39**
დაგროვილი ამორტიზაცია	(12)	(1)	(1)	**(14)**
საბალანსო ღირებულება	**20**	**2**	**3**	**25**
2018 წლის ცვლილება:				
შეძენები	48	1	-	**49**
ცვეთის ხარჯი	(6)	(4)	-	**(10)**
საბალანსო ღირებულება	**62**	**(1)**	**3**	**64**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
ისტორიული ღირებულება	80	4	4	**88**
დაგროვილი ამორტიზაცია	(18)	(5)	(1)	**(24)**
საბალანსო ღირებულება	**56**	**(5)**	**3**	**64**
2019 წლის ცვლილება:				
შეძენები	33	-	-	**33**
ცვეთის ხარჯი	(12)	-	-	**(12)**
საბალანსო ღირებულება	**83**	**(1)**	**3**	**85**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
ისტორიული ღირებულება	113	4	4	**121**
დაგროვილი ამორტიზაცია	(30)	(5)	(1)	**(36)**
საბალანსო ღირებულება	**139**	**(6)**	**6**	**85**

შენიშვნა 5. იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები:

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
გამოყენების უფლებით არსებული აქტივები:			
საცალო მაღაზიები	740	907	229
საწყობები	80	5	106
ოფისები	127	10	85
სულ აქტივები	**947**	**922**	**420**
იჯარის ვალდებულებები:			
მოკლევადიანი	407	198	179
გრძელვადიანი	704	898	240
სულ იჯარის ვალდებულებები	**1,111**	**1,096**	**419**

წლის განმალობაში გამოყენების უფლებით არსებული აქტივები გაიზარდა 930 (2018: 243) ლარით. წლის განმალობაში შეწყვეტილი კონტრაქტები შეადგენდა 62 (2018: 399) ლარს.

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი თნხები:

	2019 წელი	2018 წელი
გამოყენების უფლებით არსებული აქტივების ცვეთა:		
შენობება-ნაგებობები	225	427
საპროცენტო ხარჯი	108	40
სულ	**333**	**467**

წლის განმალობაში იჯარებთან დაკავშირებით ფულადი სასხრების გადინება შეადგენდა 1,277 (2018: 375) ლარს.

შენიშვნა 6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31-12-2019	31-12-2018	01-01-2018
ნედლეული და მასალები	3,532	1,263	1,790
სხვა მარაგები	96	10	40
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	**3,628**	**1,273**	**1,830**

შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31-12-2019	31-12-2018	01-01-2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	445	121	144
გადახდილი ავანსები	932	310	535
სხვა დებიტორული დავალიანება	4	-	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**1,381**	**431**	**679**

შენიშვნა 8. გაცემული სესხები

	31-12-2019	31-12-2018	01-01-2018
სესხები დაკავშირებულ მხარეებთან	-	-	713
სესხები ფიზიკურ პირებთან	-	-	79
სულ გაცემული სესხები	**-**	**-**	**792**

შენიშვნა 9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31-12-2019	31-12-2018	01-01-2018
ნაღდი ფული სალაროში	3	350	161
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	111	15	128
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	-	-	81
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**114**	**365**	**370**

შენიშვნა 10. სესხები

	31-12-2019	31-12-2018	01-01-2018
გრძელვადიანი სესხები:			
ბანკის სესხები	920	-	24
სესხი ფიზიკური პირისგან	-	-	-
სესხები დაკავშირებულ მხარეებთან	-	-	-
სესხები სხვა იურიდიული პირებისგან	-	25	-
	920	**25**	**24**
მოკლევადიანი ნაწილი			
ბანკის სესხები	2,816	2,448	2,592
სესხები ფიზიკური პირებისგან	-	52	-
სესხები დაკავშირებულ მხარეებთან	2,054	-	-
სესხები სხვა იურიდიული პირებისგან	20	30	-
	4,890	**2,530**	**2,592**
სულ სესხები	**5,810**	**2,555**	**2,616**

ბანკის სესხები შედგება სს „თი ბი სი“ ბანკის 6 თვიანი არაუზრუნველყოლფილი სესხისგან ქართულ ლარში (2018: აშშ დოლარი, 2017 აშშ დოლარი) წლიური 11 პროცენტიანი (2018: 6 პროცენტი, 2017: 9 პროცენტი) განაკვეთით და 9 წლიანი არაუზრუნველყოფილი სესხისგან ქართულ ლარში წლიური 11 პროცენტიანი განაკვეთით.

გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციები სს „თი ბი სი“ ლიზინგისგან კლასიფიცირებულია 24 თვიან სესხებად, ქართულ ლარში წლიური საპროცენტო განაკვეთით 18 პროცენტი, რაც უზრუნველყოფილია მანქანა-დანადგარებითა და აღჭურვილობით, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 9 (2018: 11) ლარს და ავტომანქანებით, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 51 (2018: 62) ლარს.

დაკავშირებული მხარისგან სესხები წარმოადგენს სს „სადაზღვევო კომპანია ტაოს“ 12 თვიან არაუზრუნველყოფილ ვადიან სესხებს ქართულ ლარში წლიური 12 პროცენტით.

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31-12-2019	31-12-2018	01-01-2018
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	668	562	722
გადასახდელი გადასახადები	9	83	153
გადასახდელი ხელფასები	44	67	73
მიღებული ავანსი	189	94	11
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**910**	**806**	**959**

შენიშვნა 12. შემოსავალი

	2019 წელი	2018 წელი
საქონლის რეალიზაცია	7,255	6,717
მომსახურება	97	117
სულ შემოსავალი	**7,352**	**6,834**

შენიშვნა 13. რეალიზაციის თვითღირებულება

	2019 წელი	2018 წელი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5,458)	(4,848)
ხელფასები	(177)	(167)
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	**(5,635)**	**(5,015)**

შენიშვნა 14. ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)

	2019 წელი	2018 წელი
საპროცენტო შემოსავალი ნეტო	-	79
საპროცენტო ხარჯი	(496)	(280)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	195	287
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(554)	(377)
სულ ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)	**(855)**	**(291)**

შენიშვნა 15. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. კომპანის აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კომპანიების მიხედვით:

	31-12-2019	31-12-2018	01-01-2018
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	445	121	144
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები			
საბანკო ნაშთები	111	15	209
საკრედიტო რისკის მაქსიმუმი	**556**	**136**	**353**

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანიი მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების, ან კონტრაგენტების კომპანიების მიმართ აღებული რისკისდ მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს სავაჭრო დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობასა და წარსულში არსებულ ნაშთებს.

საბაზრო რისკი. კომპანიი იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა

განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგმნობიარობა ეფუძვნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოული ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	31-12-19			31-12-18		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
ლარი	556	6,475	(5,919)	442	285	157
აშშ დოლარი	4	779	(775)	45	3,588	(3,543)
ევრო	-	336	(336)	-	340	(340)
სულ	**560**	**7,590**		**487**	**4,213**	

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევენ, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31-12-19		31-12-18	
	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(78)	(66)	(354)	(301)
აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით	78	66	354	301
ევროს გამყარება 10%-ით	(34)	(29)	(34)	(29)
ევროს დასუსტება 10%-ით	34	29	34	29

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიი ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტიანი აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

კომპანიის არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განკვეთი სჯობია კომპანიისთვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირის დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდებიან კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანის

ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმათავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2019 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძვნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

უცხო ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კრუსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

31/12/2019:	ბანკის სესხები	სესხები ფიზიკური პირებისგან	სესხები დაკავშირებულ მხარეებთან	სესხები სხვა იურიდიული პირებისგან	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	იჯარის ვალდებულებები	სულ
მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	2,936	-	2,093	21	911	282	6,243
6-დან 12 თვემდე	69	-	-	2	-	219	290
12 თვიდან 2 წლამდე	172	-	-	-	-	326	498
2-დან 5 წლამდე	517	-	-	-	-	490	1,007
5 წელზე მეტი	905	-	-	-	-	160	1,065
სულ 31.12.2019	**4,599**	**-**	**2,093**	**23**	**911**	**1,477**	**9,103**

31/12/2018:	ბანკის სესხები	სესხები ფიზიკური პირებისგან	სესხები დაკავშირებულ მხარეებთან	სესხები სხვა იურიდიული პირებისგან	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	იჯარის ვალდებულებები	სულ
მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	2,528	6	-	22	806	251	3,613
6-დან 12 თვემდე	-	51	-	22	-	901	974
12 თვიდან 2 წლამდე	-	-	-	23	-	43	66
2-დან 5 წლამდე	-	-	-	-	-	125	125
5 წელზე მეტი	-	-	-	-	-	192	192
სულ 31.12.2018	**2,528**	**57**	**-**	**67**	**806**	**1,512**	**4,970**

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი, ფუნქციონირება, რათა აქციონირებმა მიიღომ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიმა შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

შენიშვნა 16. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. ჯგუფის (და მშობელი კომპანიის) ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში.

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	01-იან-2018
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები			
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	111	15	209
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	445	121	144
სულ ფინანსური აქტივები	**556**	**136**	**353**

შენიშვნა 17. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა კომპანიის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კვოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს, ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძვნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების, აგრეთვე, იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებების, სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია.

შენიშვნა 18. დაკავშირებული მხარეები

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ბალანსი დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	01-იან-2018
გაცემული სესხები	-	-	713
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	37	36	-
მოკლევადიანი სესხები	2,054	-	-
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	13	-	-
სულ	**2,104**	**36**	**713**

ხელმძღვანელობის ანაზღაურება	31.12.2019-ით დასრულებული წლისათვის	31.12.2018-ით დასრულებული წლისათვის
შრომის ანაზღაურება და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	167	109
სულ	**167**	**109**

შენიშვნა 19. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

შენიშვნა 20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

COVID-19-ის პანდემია. 2020 წლის დასაწყისში ვირუსის გამოჩენამ და სწრაფმა გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბიზნეს გარემოზე მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები, მათ შორის გადაადგილების შეზღუდვებისა და დისტანციური მუშაობის მოთხოვნის სახით.

კომპანიის მიმდინარე ოპერაციული და ფინანსური შედეგებიდან, აგრეთვე, ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის მომენტისათვის არსებული ზოგადი და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა არ მოელის პანდემიური სიტუაციის რაიმე მყისიერსა და არსებით უარყოფით გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობას არ შეუძლია გამორიცხოს პანდემიური ვითარების გაუარესება, შეზღუდვების შემოღება და შედეგად, ამ ყოველივეს ნეგატიური გავლენა კომპანიაზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. ხელმძრვანელობა თვალყურს ადევნებს მიმდინარე პროცესებსა და მიიღებს ვითარების შესაბამის გადაწყვეტილებებს.

კომპანიის სახელის ცვლილება. 2020 წლის 12 ივნისს, კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემებში შევიდა ცვლილება: შეიცვალა კომპანიის იურიდიული სახელი შპს „მოტორსტარი“-ს ნაცვლად შპს „ამბოლი“.

ცვლილება საკუთარ კაპიტალში. 2020 წლის თებერვალში, კომპანიის შევსებული საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 4 მილიონი ლარით.

ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 13 ივლისს. ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.